სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 ნოემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-18/205

2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების,** ,,2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის №01-02/196 ბრძანების,** „2023 წელს ბუს-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 ნოემბრის N01-02/200 ბრძანების,** ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2023 წლის 03 ნოემბრის N1490978 სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2023 წლის 06 ნოემბრის N1499744 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დაფინანსდეს** 2023 წლის ნოემბერში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული, **2023 წლის ნოემბერი-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტები:**

ა) **„ევროკავშირის ახალგაზრდული ფორუმი" (დანართი N1)** - პროექტის ავტორი <u>გოგა ბაუჟაძე,</u> ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 10 097 ლარი;

ბ) **„თავისუფალი მსმენელი/Free listener" (დანართი N2);** - პროექტის ავტორი: <u>ნანა ანთაძე,</u> იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 4413 ლარი;

გ) **„საქმიანი ვიზიტები" (დანართი N3)** - პროექტის ავტორი <u>შალვა შალიკაძე,</u> ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 3990 ლარი;

დ) **„სტუდენტური ახალი წელი** (საახალწლო ღონისძიებები)"**(დანართი N4)** - პროექტის ავტორი ანუკი ახვლედიანი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი;

ე) **„ინოვაციური პროექტების შესწავლის კურსი" (დანართი N5)** - პროექტის ავტორები: ლანა ბერიძე - ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფსიქოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი და ჯემალ ბერიძე, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარი;

ვ) **„ტაო-კლარჯეთი ჩვენი შთაგონება"(დანართი N6)** - პროექტის ავტორი: ლიზი ბაბუჩაიშვილი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია უზრუნველყოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი აქტების წარმოდგენა, მატერიალური რესურსის გამოყენება, შეძენა და სხვა).

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძემ).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, **პროექტების ხელმძღვანელებს** (უზრუნველყოს ჩაბარება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა): გოგა ბაუჟაძეს, ნანა ანთაძეს, შალვა შალიკაძეს, ანუკი ახვლედიანს, ლანა ბერიძეს, ჯემალ ბერიძეს, ლიზი ბაბუჩაიშვილს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმ, სტეფანე ზუბალაშვილის N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-18/205 ბრძანების
დანართი N 1

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: ევროკავშირის ახალგაზრდული ფორუმი
სტუდენტური პროექტის ავტორი: იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **გოგა ბაუჟაძე**
პროექტის ბიუჯეტი: 10 097 ლარი

პროექტის ID: 87

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 19:04:24

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: გოგა ბაუჟაძე
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): სტუდენტური კლუბი რუსთაველი
1.3 პირადი ნომერი: 61004062649
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ბათუმი, აღმაშენებლის 1 ბინა 819
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 595290041
ელ.ფოსტა: goga.bauzhadze@gmail.com

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ევროკავშირის ახალგაზრდული ფორუმი
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-14
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12-20
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 10097
2.5 თანადაფინანსება: 0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:10097

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: დღესდღეობით ინფორმაციის დეფიციტი, გამოუცდელობა და შესაძლებლობების არ არსებობა ერთ-ერთ თვალსაჩინო პრობლემას წარმოადგენს, შესაბამისად განათლების ხარისხი სრულად არ არის ისეთი, როგორც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირი არის სივრცე, სადაც საქართველოს აქვს განვითარების უდიდესი პერსპექტივა, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური კუთხითაც, თანაც ჩვენ ვიმყოფებით ისეთი ისტორიულ დროში, როცა წყდება საქართველოს ევროპული მომავალი, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდების ძირითადი მოთხოვნაა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ წელს კონკრეტულად ევროკავშირის მიმართულებით გავცეთ იმ სპეციალისტების ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მოგვეპოვება, თანაც არსებითად პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდების ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, მოქალაქეობრივ საქმეში სიმწირეს განიცდის, ხოლო ეს საქმიანობები უმნიშვნელოვანესია, უფრო მეტიც ეს განსაზღვრავს იმას თუ როგორ მომავალს შევქმნით ახალგაზრდები და როგორ სამყაროში ვიცხოვრებთ. მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინტეგრაციას არაფორმალურ გარემოში, თანაც ჩვენ ვთლით, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააფართოოს სტრატეგიულ პარტნიორთა წრე, რაშიც მოცემული პროექტი, პირდაპირ შეუწყობს ხელს. იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ამჟამად გაგვაჩნია შეგვიძლია ვთქვათ, პროექტში ჩართული იქნება, რამდენიმე რეგიონის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ/მასწავლებლები და გავაფართოებთ უნივერსიტეტის მეგობართა წრეს, ეს დაგვეხმარება ასევე იმაში, რომ სამომავლოდ ფართო სპექტრიდან შეგვეძლოს არსებული პერსპექტივების ხილვა და ახალგაზრდებს მიეცეთ გაცილებით მეტი შესაძლებლობა იმისა, რომ სამომავლოდ შეძლონ უფრო მეტი აქტივობების შექმნა და განხორციელება ჩვენს საუნივერსიტეტო სივრცეში. აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სტუდენტებს და პროფესორებს შორის არსებული ურთიერთობები არ არის მყარი, მაშასადამე, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მათ შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესებას. მაშასადამე, ჩვენი პროექტის მიზანია, გავაღრმავოთ ცოდნა ევროინტეგრაციის შესახებ, მივცეთ ახალგაზრდებს მეტი შესაძლებლობა, რომ უშუალოდ იყვნენ ჩართული ევროპული ინტეგრაციის პროცესში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ვრცელდება არაერთი პროპაგანდისტული აზრი ევროკავშირის შესახებ, რაც დამაზიანებელია საერთო ევროპული მიზნებისთვის, არსებული პრობლემების საფუძველზე სტუდენტებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა უფრო დიდი სპექტრიდან შეხედონ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ამასთანავე უკან დაუხევლად, დაუბრკოლებლად გაუმკლავდნენ მას. არსებითად კიდევ ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის კერძოდ ბსუ-ს სტუდენტებისთვის რუტინული სასწავლო პროცესი, რომელიც, მართალია გვაძლევს თეორიულ ცოდნას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია პრაქტიკაც, რომელსაც არაფორმალური განათლება იძლევა და ის აგრეთვე სამომავლოდ გვეხმარება საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენასა და რეალიზებაში ამიტომ ჩვენ ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაც. აქვე უდიდეს პრობლემად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდები მოკლებული არიან დარგის სპეციალისტთან შეხვედრებს, სწორედ ჩვენ დავისახეთ ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მოვიწვიოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პერსონა, რომელთაც აქვთ უშუალო შეხება, ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან, კერძოდ 12 პუნქტთან, რომელიც გადაწყვეტს მიმდინარე დღეებში საქართველოს ევროპულ ბედს.

3.2 მიზანი: (I) ჩვენ დავისახეთ მიზნად, გავზარდოთ ჩვენი უნივერსიტეტის ცნობიერება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ევროპული ინსტიტუტების და ღირებულებების შესახებ, რომლის განხორციელების მიზნით ჩვენ მოვიწვევთ პიროვნებებს, რომელთაც აქვთ გამოცდილება ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან და უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ 12 პუნქტის განხილვის პროცესში; (II) გააქარწყლოს ევროკავშირზე და ევროინტეგრაციის პროცესზე გავრცელებული ნეგატიური პროპაგანდა, მითები და ჩამოაყალიბოს მათზე არგუმენტირებული პასუხები; მისცეს მონაწილეებს ფუნდამენტური ცოდნა ევროკავშირის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების და მათი გადალახვის პერსპექტივების შესახებ; (III) გააცნოს სტუდენტებს საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების,

მიღწევების შესახებ; (IV) სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ სიკეთეებისა და უპირატესობების შესახებ, რასაც ევროკავშირი სთავაზობს საქართველოს და უკვე სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები. (V) პროექტის დახმარებით სტუდენტები განავითარებენ ლიდერული უნარ-ჩვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია რათა იყვნენ წარმატებული თავიანთ საქმეში, შეიძინონ ახალი მეგობრები, გაეცნონ ახალ სამუშაო გარემოს, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას. (VI) ჩვენი მიზანია მივცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, მიიღონ თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება და გამოცდილება, რომელიც მათ სამომავლოდ ხელს შეწყობს პროფესიულ ორიენტაციაში. ასევე გაიღრმავონ კრიტიკული, ანალიტიკური და ლიდერული უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების და მოლაპარაკებების ხელოვნებას, იმუშავონ საქართველოში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ/პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშაონ საკუთარი გადაჭრის გზები გლობალური პრობლემებისა. (VII) სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გავაღრმავოთ არსებული ურთიერთობა, რომელიც აუცილებლად უნდა დაეფუძნოს ურთიერთმხარდაჭერას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას. ჩვენი საინიციატივო გუნდი მაქსიმალურად შეეცდება ფორუმი გაახალისოს, სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობებით და გაამრავალფეროვნონ სტუდენტებისა და აბიტურიენტების ცხოვრება, ისინი მაქსიმალურ უზრუნველყოფენ დელეგატების უმაღლესი განწყობის მაქსიმალურად შენარჩუნებაზე. ჩვენი საინიციატივო გუნდი შესაბამისად შეეცდება დელეგატები უზრუნველყონ სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობით (ენერჯაიზერებით), რადგან დამღლელი სამუშაო პროცესი განიმუხტოს და თავიანთ სამუშაოს ენერგიულად გაუმკლავდნენ მონაწილეები. (VIII) აგრეთვე პროექტის განმავლობაში მონაწილეები იყვნენ სრულიად აღჭურვილნი, საჭირო საკანცელარიო ნივთებით, რათა პროექტის განმავლობაში არ შეექმნათ არანაირი დაბრკოლება, როგორც დელეგატებს, ასევე ხელმძღვანელებს.

3.3 ამოცანები: (I) ჩვენი უმთავრესი ამოცანა და მიზანია, ახალგაზრდებს მაქსიმალურად მივცეთ შესაძლებლობა იყვნენ არაფორმალურ აქტივობებში, ჩართულნი, განავითარონ მათი ლიდერული უნარ-ჩვევები, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავს მათ ნათელ მომავალს. პროექტის ფარგლებში ჩვენი ამოცანაა ახალგაზრდებს სრულფასოვნად მივაწოდოთ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე აქტიურ პროცესებზე, რომელიც ამ წამსაც კი მიმდინარეობს. (II) საინტერესოა რომ ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა და მიზანია, რომ ჩვენ აქტივობებში ჩავრთოთ პერსონები, რომელთაც უშუალოდ შეხება ჰქონდა ევროკავშირის 12 პუნქტის განხილვასა და მის ჩამოყალიბებაში, აქვე აღვნიშნავ, რომ პროექტში ჩართული იქნება სტუდენტები საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან. მოგეხსენებათ რაოდენობრივი მაჩვენებელით ჩართული იქნება 200-მდე სტუდენტი და რამდენიმე მოწვეული პირი. (III) პროექტში დელეგატები ინტერესის მიხედვით აირჩევენ სამუშაო ჯგუფებს, რომელთა თემატიკაც იქნება ევროკავშირის 12 პუნქტი. სტუდენტები განიხილავენ აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებს მათ ხელმძღვანელებთან (ტრენერებთან / ლექტორებთან) და მონაწილეებთან ერთად, ამასთანავე შეიმუშავებენ პრობლემების გადაჭრის გზებს, რომელსაც ასახავენ რეზოლუციაში, ხოლო ამ რეზოლუციას წარადგენენ გენერალურ ასამბლეაზე და შეეცდებიან მათი აზრი ლოგიკურად, სრულფასოვნად და ამომწურავად დაასაბუთონ. როგორც მიზნებში აღვნიშნე გვექნება ენერჯაიზერები, რომელთაც ორგანიზატორებს შევასწავლით, დავატრენინგებთ, ხოლო ისინი დელეგატების განწყობაზე იზრუნებენ. ჩვენი გუნდის მიზანი კი გახლავთ სტუდენტებისა და ახალგაზრდების მოტივირება და იმ გზების ჩვენება, რომლითაც შეძლებენ დასახულ მიზნებს მიაღწიონ და წარმატების ბილიკს გაუყვნენ!

3.4 განხორციელების გზები: მოგეხსენებათ, მოცემული პროექტი დაფუძნებულია გავლილ პრაქტიკასა და შეძენილ ცოდნაზე. ცოდნაზე, რომელიც საინიციატივო გუნდის ყოველ წევრს გააჩნია, პრაქტიკამ ჩვენ შეგვძინა ის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც დაგვეხმარება დასახული მიზანი მივიყვანოთ ბოლომდე. ჩვენი ჯგუფი დაკომპლექტებულია რამდენიმე წევრისგან, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორობის გამოცდილება

მსგავს პროექტებსა და ფორუმებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ მათგანთან ერთად მიმუშავია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ურთულესი ამოცანა აკისრიათ, თითოეულ ორგანიზატორს აქვს თავიანთი მოვალეობანი გადანაწილებული. ჩვენი პროექტის შინაარსი საკმაოდ დინამიური და აქტიურია, ვინაიდან ის შედგება რამდენიმე ეტაპისგან, პირველ ეტაპზე ჩვენი კოორდინატორების მოვალეობაა გამოაცხადონ კონკურსი ორგანიზატორების მიღების შესახებ. ორგანიზატორები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20-მდე სტუდენტი, ისინი სამომავლოდ, როგორც უშუალოდ ჩაერთვებიან განხორციელებაში ასევე ექნებათ საშუალება იყვნენ პროექტის უშუალო მონაწილეც. ორგანიზატორებს ჩაუტარდებათ რამდენიმე ტრენინგი, რომელიც მიმართული იქნება მათი სამუშაო გრაფიკისა თუ სპეციფიკის განხილვისთვის, რადგან მათ წინ საკმაოდ დიდი გზა და მნიშვნელოვანი გამოწვევები ელოდებათ, ასე რომ ახალგზდა ორგანიზატორებს, გამოცდილი ორგანიზატორები გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და სრულფასოვნად გადაამზადებენ იმ დაუვიწყარი დღისთვის, რომლებიც მათ წინ ელით. ასევე შეასწავლიან სხვადასხვა ენერჯაიზერებს, რომლებსაც ისინი შემდგომში დელეგატების გასამხიარულებლად გამოიყენებენ. აქვე აუცილებელია აღვნიშნო, რომ ჩვენს გვერდით დგას ისეთი გამოცდილი გუნდი, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი პრაქტიკა საგანმანათლებლო აქტივობებისა თუ ღონისძიების კუთხით და ერთად ჩვენ წარმოვადგენთ იმ მნიშვნელოვან ძლიერ გუნდს, რომელთაც მარტივად ძალუძთ სხვადასხვა პრობლემატურ მდგომარეობაზე გამკლავება. პირველი ეტაპზე, ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოწვეული იქნებიან, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატიდან ცნობილი პიროვნებები, რომელთაც უშუალოთ ჰქონდათ შეხება ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით უშუალო დისკუსიები უცხოელ პარტნიორებთან და მონაწილეობას იღებდნენ 12 პუნქტის ადაპტირებაში ქართულ საზოგადოებაში. ისინი შეეცდებიან ჩვენს სტუდენტებს გააცნონ არსებული მდგომარეობა და ასევე მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ არსებული ვითარების შესახებ, რომელიც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია, საქართველოს ბედით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. მეორე ეტაპს, რაც შეეხება გამოცხადდება მიღება დელეგატების, ჩვენს ელექტრონულ პლატფორმაზე. ისინი იქნებიან, როგორც ბსუ-ს სტუდენტები, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კონკრეტულად თითოეულ გუნდში იქნება 10 სტუდენტი, სულ 6 ჯგუფი, საერთო ჯამში 60 დელეგატი გვეყოლება სტუდენტების სახით. ამჟამინდელი მონაცემებით, პარტნიორული ურთიერთობა და გვაქვს ქვემოთ მოცემულ უნივერსიტეტებთან, სწორედ ისინი იქნებიან ჩვენს სტუდენტებთან ერთად პროექტის ბენეფიციარები. - რობაქიძე - საზღვაო - თსუ - სეუ - ბსუ - გორი ფინალურ ეტაპი განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელშიც ჩართული იქნება, როგორც ბსუ-ს ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენს პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც აბიტურიენტებს ასევე სტუდენტებს, ეს კი ვფიქრობთ კარგი იქნება, როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებისთვის, ასევე უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის, რადგან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ჩვენი აუდიტორიის სივრცესა და მიიღონ ლექტორებთან მუშაობის გამოცდილება ეს კი გაზრდის ალბათობას იმისა, რომ ერთ დღესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები გახდნენ. ფინალურ ეტაპზე სტუდენტები, წარმოადგენენ გასული დღეების ნაშრომს ევროკავშირის 12 პუნქტის შესახებ მათ საშუალება ექნებათ, როგორც წარმოადგინონ მოხსენება, ასევე შევიდნენ დისკუსიაში და განიხილონ არსებული პრობლემატური საკითხები საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	ორგანიზატორთა ძიება/აპლიკაციის ჩაშვება	ნოემბერი -13 - 25					
2	ორგანიზატორთა გადახარისხება	ნოემბერი -13 - 25					
3	ორგანიზატორებთან გასაუბრება	ნოემბერი -13 - 25					
4	ორგანიზატორთა გადამზადება	ნოემბერი -13 - 25					
ეტაპი 2							

1	დელგატთა რეგისტრაციის აპლიკაციის ჩაშვება	ნოემბერი					
2	დელეგატთა გადახარისხება/გადარჩევა	ნოემბერი					
3	დელეგატების თავის ჯგუფებში გადანაწილება	ნოემბერი					
ეტაპი 3							
1	საინფორმაციო შეხვედრა/სტუმრების მოწვევა	ნოემბერი	დეკემბერი				
2	ფორუმი პირველ დღე ბსუ	ნოემბერი	დეკემბერი				
3	გენერალური ასამბლეა ბსუ	ნოემბერი	დეკემბერი				

ეტაპი 4							
1	პროექტის დახურვა		დეკემბერი				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტი აერთიანებს საქართველოს მასშტაბით მოტივირებულ ახალგაზრდებს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პროექტში ჩართული იქნება საქართველოს მასშტაბით რამდენიმე უნივერსიტეტი რომელიც საერთო ჯამში მოიცავს 200-ზე მეტ ახალგაზრდას, ხოლო პროექტში საერთო ჯამში ჩართული იქნება 400-მდე ახალგაზრდა, ხელმძღვანელი, სტუდენტი, თუ პროფესორი.

6. მოსალოდნელი შედეგები: პირველ რიგში მინდა ვთქვათ, რომ ჩვენი უდიდესი შედეგი იქნება, რომ ახალგაზრდებს გავაცნობთ უახლეს ინფომრაციას ევროკავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე ჩვენი უდიდესი შედეგი იქნება ისიც, რომ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემათ როგორც საქართველოს მასშტაბით არსებული უნივერსიტეტების სტუდენტებს, ასევე აბიტურიენტებსაც და თემით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, რაც რაოდენობრივი მაჩვენებლით 300-მდე ახალგაზრდაა და ასევე უმრავლესობას წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები. პროექტში ჩართულობით მათ მიეცემათ შესაძლებლობა გაილამაზონ და გაიხალისონ მათი სტუდენტური ცხოვრება და მიიღონ ისეთი გამოცდილება, რომელიც მათ მისცემთ საშუალებას თავიანთი მომავალი სწორად წარმართონ, ასევე მიგვაჩნია, რომ პროექტის დასრულების შემდგომ ახალგაზრდები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებზე, გაიღრმავებენ კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს, დაეუფლებიან საჯარო გამოსვლებისა და მოლაპარაკებების ხელოვნებას, გაეცნობიან და ისწავლიან რეზოლუციის შემუშავებას. მიგვაჩნია, რომ პროექტი დიდ გავლენას მოახდენს სტუდენტთა ცხოვრებაზეც, რადგან ძირითადად ისინი იქნებიან ჩართული მოცემულ პროექტში, როგორც ორგანიზატორები ეს კი ვფიქრობთ ერთგვარი გამოფხიზლება, ბიძგი და მოტივაცია იქნება მათთვის. აგრეთვე ვთვლით რომ ისინი შემდგომში თვითონვე იქნებიან ინიციატორი, მსგავსი პროექტი განახორციელონ საუნივერსიტეტო სივრცეში. რაც შეეხება ჩვენი გუნდის მოტივაციას, ვთვლით როცა ბრწყინვალედ შევასრულებთ ჩვენს დაკისრებულ მოვალეობას, ეს წამოწყებაც ჩვენთვის იქნება ბიძგი და წინ გადადგმული ნაბიჯი და გავაგრძელებთ ამ კუთხით აქტიურ მუშაობას, რადგან მე პირადად მივიჩნევ, რომ ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვა არასდროს არის არც ზედმეტი, და არც აზრს მოკლებული.

7. მონიტორინგი: პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ვიცით პროექტი გრძელდება 1 თვეს, რომელიც განხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში. პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელთაც ჩვენ მივაწვდით საბოლოო ანგარიშს ფოტომასალის სახით.

8. შეფასება: პირველი ეტაპზე განსაზღვრულია ორგანიზატორების შერჩევა, რომლის სარეგისტრაციო ველსაც მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტს, ხოლო ისინი შეეცდებიან, ბსუ-ს პლატფორმაზე ივენთის მაქსიმალურად პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ აუცილებელი პირობაა ორგანიზატორი იყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რადგან ჩვენი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტის მაქსიმალურად ჩართულობა სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ფორუმებში. გასაუბრების შემდგომ შევარჩევთ მუდმივმოქმედ ორგანიზატორებსა და ცვალებად ორგანიზატორებს, რომელთაც მოვამზადებთ პროექტისთვის, მათ ჩაუტარდებათ რამდენიმე ტრეინინგი, ზოგადად, პროექტის მართვისა და სპეციფიკის შესახებ. როცა დავიწყებთ დელეგატთა მიღებას შესაბამისად გავესაუბრებით თითოეულ მათგანს და მოვისმენთ მათ მოტივაციას თუ რატომ სურთ პროექტში მონაწილეობა, აყვანის შემთხვევაში გავაცნობთ მათი კომიტეტის ტრენერებს. მეორე ეტაპზე გამოვაცხადებთ დელეგატების მიღებას და მათ მივიღებთ, სარეგისტრაციო ველის გადახარისხების შედეგად. საბოლოოდ კი გაიმართება ევროკავშირის ახალგაზრდული ფორუმი, რომელიც ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება, ამ ორი ნაყოფიერი დღის მეთვალყურენი იქნებიან მენეჯერები, რომელთაც აქვთ თავიანთი მოვალეობანი გადანაწილებული, მაგალითისათვის გვყავს მენეჯერი, რომელიც შიდა ორგანიზატორებს აკონტროლებს, აგრეთვე გვყავს მენეჯერები, რომლებიც გარე ორგანიზატორებს უწევს მონიტორინგს. ყველა დეტალი დაწვრილებით გვაქვს გათვლილი ხოლო მენეჯერთა მოვალეობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ჯგუფის გაერთიანებაში იხილოთ. პროექტის განმავლობაში გამოყენებულ ინვენტარი აღირიცხება, რათა მიზნობრივად იყოს გამოყენებული ამას კი ისევ კოორდინატორები გააკონტროლებენ. მოგეხსენებათ ეს პროექტი ათობით ახალგაზრდას აერთიანებს, როგორც დასაწყისში აღვნიშნე გვეყოლება ორგანიზატორ/დელეგატები, მას შემდეგ რაც ისინი ჩვენს პროექტში მიიღებენ მონაწილეობას გაუჩნდებათ სურვილი და მოტივაცია იმისა, რომ მომავალშიც ჩაერთონ მსგავს აქტივობებში. ამასთანავე ახალგაზრდები უფრო დაუახლოვდებიან ჩვენს უნივერსიტეტსა და ლექტორებს, დაამყარებენ მეგობრულ ურთიერთობებს. პროექტისგან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა თემაზე და შეუძლიათ განივითარონ და გაამდიდრონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. პროექტის წარმატებას განსაზღვრავს ისიც, რომ ახალგაზრდები მიიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მათთვის საჭირო თემების შესახებ.

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - ევროკავშირის ახლგაზრდული ფორუმი											
	პროექტის მოკლე აღწერა - საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც პროექტის ფარგლებში ისახავს მიზნად სტუდენტთა ინფორმირებულობას, რეზულიციის შექმნასა 12 პუნქტის შესახებ და მის ჩვენებას ფართო საზოგადოებისათვის!											
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						ნოემბერი	დეკემბერი					
1	საკანცელარიო ნივთები	დანართი 1	807	დელეგატებისა და ხელმძღვანელების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.	იქნებიან დელეგატები და ხელმძღვანელები 100%-ით უზრუნველყოფილი შესაბამისი საჭიროების ნივთებითა და პირობებით.	+	+					
2	ფურშეტი	დანართი 2/2,1	3090	ფურშეტის მთავარი მიზანია დამღლელი დღის გახალისება. ახალაი ენერგიით აივსებიან პროექტის მონაწილენი და გახალისდებიან!	მათი მუშაობის პროცესი ნაყოფიერი იქნება, ისინი გახსნილად და გონიერად იაზროვნებენ და მათი განწყობაც და შეხედულებებიც ერთიორად ამაღლდება!	+	+					

3	ჰონორარი - ფორუმში მოწვეული სტუდენტებისთვის - მოხსენებისთვის	10 სტუდენტი ფორუმზე წარმოადგენენ მოხსენებებს, თითოეულზე გაიცემა 200 ლ	2000	მოწვეული პირების კმაყოფილება, ცოდნის გაზიარება ბსუ-ს სტუდენტებისთვის	დასაქმდება 10 სტუდენტი (სხვა უნივერსიტეტი)	+	+					
4	მოწვეულ პირთა/მომხსენებელთა/ტრენერთა ჰონორარი	3 მომხსენებელი, თითოეულს 1000 ლ	3000	მოწვეული შრომის დაფასება, ცოდნის გაზიარება ბსუ-ს სტუდენტებისთვისა და ლექტორებისთვის	დასაქმდება 3 მაღალკვალიფიციური ტრენერი/ექსპერტი/მკვლევარი	+	+					
5	პროექტის ხელმძღვანელი/ორგანიზატორი სტუდენტების შრომის ანაზღაურება	გოგა ბაუჟაძე, სალომე გოგიტიძე, ქეთი მოწყობილი, მილენა არძენაძე, საბა გოგიტიძე, ნანა ანთაძე თამარ მაისურაძე ლაშა თავდგირიძე	1200	ახალგაზრდები იქნებიან მოტივირებული და პირნათლად შეასრულებენ მასზედ დაკისრბული მოვალეობანს		+	+					

ჯამი: 10 097 დარჩენილი თანხა: 0

დანართი 1

თვლა პროდუქცია	ფასი (ლარში)	საჭირო ოდენობა	ჯამი (ფასი x რაოდენობა)
ზამბარიანი ბლოკნოტი A5 ფორმატით	3 ლარი	100	300
თაბახის ფურცელი A4 ფორმატით (500ც)	16 ლარი	2	32
ბეიჯი	1.3 ლარი	80	104
კალამი	0.3	250	75
მარკერი	1 ლარი	10	10
სტეპლერი	4 ლარი	6	24
სკოჩი	2.5 ლარი	3	7,5
ფერადი ფურცლები STICKY NOTE	6 ლარი	5	30
სერტიფიკატი	1.5 ლარი	150	225
ლეპტოპი	0 ლარი	10	
პროექტორი	0 ლარი	10	
ფოტოაპარატი	0 ლარი	3	
მიკროფონი	0 ლარი	5	
სანოვარი	0 ლარი	5	
მადუღარა წყლის	0 ლარი	5	
			807,5

დანართი 2

თვლა-პროდუქცია	ფასი (ლარში)	საჭირო რაოდენობა	ჯამი (ფასიXრაოდ.)	
სენდვიჩი ქათმის ხორცით	4 ლარი	90	360	პირველი დღე 45 ც (1)
				მეორე დღე 45 ც (2)
სენდვიჩი ლორით და ყველით	4 ლარი	90	360	პირველი დღე 45 ც (1)
				მეორე დღე 45 ც (2)
ლობიანი ფენოვან ცომში	1,2 ლარი	90	432	პირველი დღე 45 ც (1)
				მეორე დღე 45 ც (2)
ჰოთ-დოგი	3 ლარი	90	270	პირველი დღე 45 ც (1)
				მეორე დღე 45 ც (2)
ქათმის მწვადი	3,5 ლარი	90	315	პირველი დღე 45 ც (1)
				მეორე დღე 45 ც (2)
კოკა-კოლა (2 ლ.)	4,1 ლარი	13	53,3	პირველი დღე (1)
სასმელი წყალი "ჯეო ნატურა" 0,5ლ პეტი	0.50 ლარი	350	175	პირველი დღე (1)
წყალი ბაკურიაინი 6ლ	4 ლარი	3	12	პირველი დღე (1)
ფანტა 2ლ	4,1 ლარი	13	53,3	პირველი დღე (1)
სალფეთქი (მშრალი)	2 ლარი	5	10	პირველი დღე (1)
სალფეთქი (სველი)	5 ლარი	4	20	პირველი დღე (1)
ტილო	2.8 ლარი	4	11,2	პირველი დღე (1)
ერთჯერადი ცელოფნის ხელთათმანი 100ც	2 ლარი	5	10	პირველი დღე (1)
პლასტმატმასის ჭიქა (100ც)	5 ლარი	8	40	პირველი დღე (1)
მუყაოს ჭიქა (50ც)	5 ლარი	11	55	პირველი დღე (1)
კოვზები (100ც)	6 ლარი	8	48	პირველი დღე (1)
თეფში	5 ლარი	16	80	პირველი დღე (1)
			2304,8	

დანართი 2.1

თვლა / პროდუქცია	ფასი ლარში	საჭირო რაოდენობა	ჯამი ფასიxრაოდენობა	დღეები
ყავა ხსნადი Nescafe classic (130გრ)	10.35 ლარი	5	51,75	პირველი დღე (1)
ჩაი (25ც) Greenfield	5,50 ლარი	3	16.50	პირველი დღე (1)
შაქარი (1 კგ)	5 ლარი	5	25	პირველი დღე (1)
მაფინი	1.5 ლარი	150	225	პირველი დღე 75 ც (1)
				მეორე დღე 75 ც (2)
ნამცხვარი "მედოკი"	2	სულ 100	200	პირველი დღე 50ც (1)
				მეორე დღე 50ც (2)
ეკლერი	1,8 ლარი	სულ 100	180	პირველი დღე 50ც (1)
				მეორე დღე 50ც (2)
შუ	1.5 ლარი	სულ 110	165	პირველი დღე 83ც (1)
				მეორე დღე 83ც (2)
სულ:			**787,9**	

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-18/205 ბრძანების
დანართი N 2

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: თავისუფალი მსმენელი / Free listener
სტუდენტური პროექტის ავტორი: იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნანა ანთაძე
პროექტის ბიუჯეტი: 4413 ლარი

პროექტის ID: 86

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 18:59:49

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ნანა ანთაძე
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): კლუბი რუსთაველი
1.3 პირადი ნომერი: 33001081860
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ადლიის ქუჩა, N40
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 574 01 39 63
ელ.ფოსტა: nanaantadze24@gmail.com

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): თავისუფალი მსმენელი / Free listener
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-14
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12-15
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 4413
2.5 თანადაფინანსება:
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:4413

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა:

მოგახსენებთ რომ უნივერსიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გახლავთ სტუდენტებში საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოვლენების შესახებ ზოგადი განათლების (ცნობიერების) დაბალი დონე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი რომ სტუდენტებს უჭირთ თანამოაზრეთა (ინტელექტუალური) წრის გაფართოება/ზრდა. ეს პრობლემა გამომდინარეს იქედან, რომ მათ ნაკლებად აქვთ ისეთი პლატფორმები, რომელიც დაეხმარებათ ინტერესების შესაბამისად სხვა სტუდენტებთან კომუნიკაციაში. სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრასა და არსებული ვაკუუმის/სიცარიელის შევსებაში დაეხმარება ახალგაზრდებს. მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას მათთვის მნიშვნელოვან სფეროში. აქვე უდიდესი პრობლემაა ისიც, რომ სტუდენტები, რომლებიც დაკავებულები ვართ სასწავლო პროცესის რუტინით, არ გვაქვს საშუალება შევხვდეთ ერთდროულად რამდენიმე გამორჩეულ ადამიანს და გავიზიაროთ მათი გამოცდილება და ის რთული გზა თუ როგორ მიაღწიეს მათ დასახულ მიზნებს. რიგ შემთხვევაში სწორედ დაბალი მოტივაციის დონე იწვევს სტუდენტთა ინტერესის დაკარგვას, რაც აშორებს სტუდენტებს საუნივერსიტეტო სივრცესთან. სტუდენტები მოცემული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით ცდილობენ წავიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციაში და იქ შეივსონ დანაკლისი, რაც პირდაპირ იწვევს სტუდენტების სასწავლო გარემოსგან მოწყვეტას. ეს კი უარყოფითად აისახება სასწავლო გარემოზე. მოგეხსენებათ, ფორმალური (თეორიული) განათლება არ არის საკმარისი სტუდენტებისათვის, რადგან ის ერთფეროვანია და რიგ შემთხვევაში ახალგაზრდები კარგავენ ინტერესსა და მოტივაცია. ამ პროექტის საშუალებით სტუდენტები შეძლებენ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების გამოცდილების გაზიარებას, გაეცნობიან იმ გზებს, რომლითაც ამ ადამიანებმა მიაღწიეს წარმატებას. პრობლემებს და სირთულეებს, რომელთა გადალახვაც მოუწიათ. ასევე შეიძენენ თანამოაზრეებს და გაიფართოებენ სამეგობრო არეალს და გაუჩნდებათ მოტივაცია იყვნენ წარმატებული თავიანთ საქმეში.

3.2 მიზანი: პროექტის მიზანია ნოემბერ - დეკემბრის თვეში არაფორმალური განათლების გზით სტუდენტებს გაუმრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი. სწორედ მოცემული მიზნის განსახორციელებლად ჩვენ გადავწყვიტეთ მოვიწვიოთ რამდენიმე ცნობილი პირი, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც გაახალისებენ სასწავლო პროცესს, მათ შორის იქნებიან, მწერლები, მომღერლები, ცნობილი მსახიობები, ასევე ისეთი დიდებული შოუს წარმომადგენლები, როგორიც არიან „კაცების შოუ" და ასე შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განმავლობაში არა მხოლოდ ცნობილი ადამიანებს მოვიწვევთ, არამედ ბსუ-ში არსებულ ახალგაზრდებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც თავიანთ სფეროში შეძლეს წარმატების მიღწევა.

ჩვენი უმთავრესი მიზანია ახალგაზრდებში ცნობიერების გაზრდა და წარმატებული საზოგადო მოღვაწეების გამოცდილების გაზიარება. აქვე უნდა ითქვს, რომ ჩვენი მიზანია, ახალგაზრდები გასცდნენ ერთფეროვან ფორმალური განათლების კერას და პრაქტიკულად მოისმინონ უშუალო ინფორმაცია იმ ცნობილი პირებისგან, რომელთაც უშუალოდ აქვთ წარმატება მოცემულ სფეროში, მათ შორის გამოჩენილი ბიზნესმენები, მოჭიდავეები, მსახიობი, მუსიკოსები თუ ასე შემდეგ!

3.3 ამოცანები: ჩვენი ერთ-ერთი პირველი ამოცანა გახლავთ საუნივერსოტეტო სივრცეში მოვიწვიოთ ისეთი საინტერესო პირები, რომლებიც ახალგაზრდებს მისცემენ შესაძლებლობას დაანახონ არსებულ მდგომარეობას გაანსხვავებული მხრიდან, ასევე აუმაღლებენ განწყობას და ექნებათ

მოტივაცია, რათა სამომავლოდ შექმნან გაცილებით უკეთესი პროექტები. ასევე უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისათვის;

3.4 განხორციელების გზები: 1) სოციალურ ქსელებში მოხდება სტუდენტთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც მოვიწვიოთ სხვადასხვა პროფესიის მქონე პირებს; 2) ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან (მაგ: პორტალი, სოციალური ქსელი); 3) შეხვედრის ორგანიზება (მოხალისეების მიღება); 4)სივრცის ორგანიზება 5) შეხვედრის ჩატარება

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	ცნობილი პირების მოწვევა	ნოემბერი	დეკემბერი				
2	ცნობილი პირების მოწვევა	ნოემბერი	დეკემბერი				
3	ცნობილი პირების მოწვევა	ნოემბერი	დეკემბერი				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: შეხვედრის ძირითადი ბენეფიციარები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, საერთო მაჩვენებლით დასწრება იქნება თავისუფალი და 500-ზე მეტი ახალგაზრდა შეძლებს მოცემულ პროექტში/აქტივობაში ჩაბმას!

6. მოსალოდნელი შედეგები: სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საერთო ინტერესების შესაბამისად მოისმინონ არაფორმალური/არასასწავლო მოხსენებები, შესაბამის შეხვედრებზე გაიცნონ თანამოაზრეები, იყვნენ ჩართული საინფორმაციო შეხვედრებში, რომელიც მაქსიმალურად დაახლოებს მათ სასწავლო გარემოსთან. სასწავლო პროცესი გახდება მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო. ასევე საზოგადოებაში გაიზრდება უნივერსიტეტის, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი, ნდობა. უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის.

7. მონიტორინგი: მონიტორიგნის მიზნით პროექტის ყოველი ეტაპი იქნება ფოტო და ვიდეო მასალებზე აღბეჭდილი, რომელსაც მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

8. შეფასება: ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იქნება, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელებულ აქტივობაში ჩაებმება 500-ზე მეტი ახალგაზრდა, რაც გამოიწვევს მათი მოტივაციის გაზრდასა და პროექტებში ჩართვის უფრო მეტ სურვილს.

სტუდენტურ საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - თავისუფალი მსმენელი / Free listener									
	პროექტის მოკლე აღწერა -									
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად				
						I თვე	2 თვე			
1	მოწვეულ პირთა ჰონორარი	4000	4000	მოწვეული პირთა კმაყოფილება	კვალიფიციური ლექცია/მოხსენება ტრენინგის ჩატარება, ცოდნის გაზიარება დამსწრე სტუდენტებისა და ლექტორებისთვის	ნოემბერი	დეკემბერი			

2	ხელმძღვანელის/სტუდენტის შრომის ანაზღაურება	413 ლ 1 ადამიანზე	413	სტუდენტები იქნებიან მაქსიმალურად მოტივირებული და თავიანთ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ	კვალიფიციური კადრი	ნოემბერი	დეკემბერი			
ჯამი: 4413 დარჩენილი თანხა: 0										

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-18/205 ბრძანების
დანართი N 3

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „საქმიანი ვიზიტები“
სტუდენტური პროექტის ავტორი: იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შალვა შალიკაძე
პროექტის ბიუჯეტი: 3990 ლარი,

პროექტის ID: 82

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 18:17:33

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: შალვა შალიკაძე
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): საინიციატივო ჯგუფი
1.3 პირადი ნომერი: 61006070072
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ბათუმი, ლევან გოთუას #5
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 555363833 / 555444362
ელ.ფოსტა: shalvashalikadze8@gmail.com

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): საქმიანი ვიზიტები
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-14
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12- 25
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 3990
2.5 თანადაფინანსება:
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 3990

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა
3.1 პრობლემის განსაზღვრა: დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში სტუდენტებსა და სახელმწიფო უწყებებს (საქართველოს პარლამენტი, ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკრებულო და უმაღლესი საბჭო, საკონსტიტუციო სასამართლო) შორის ეფექტური მუნიკაცია გადამწყვეტია სამოქალაქო ჩართულობის გასაძლიერებლად, მმართველობის პროცესების გაგების გასაუმჯობესებლად, ინფორმირებული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, სტუდენტების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა - რეგიონალურ/ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებთან პირდაპირი ურთიერთობისა და კომუნიკაციის ნაკლებობა. აღნიშნული გარემოება ქმნის

ცოდნის ხარვეზებსა და ინფორმაციულ ვაკუუმს : სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებაზე, კარიერულ განვითარებაზე, პოლიტიკის შემუშავების პროცედურაზე, საჯარო მოხელეების როლებსა და პასუხისმგებლობებზე.

3.2 მიზანი: სახელმწიფო უწყებების საქმიანობის გაგება გადამწყვეტია სტუდენტებისთვის, რადგან ის ეხმარება ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებაში. ამის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური გზაა სახელმწიფო დაწესებულებებში ორგანიზებული ვიზიტები. ეს პროექტი მიზნად ისახავს: დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობას; სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას; კარიერული შესაძლებლობების პოპულარიზაცია სახელმწიფო სტრუქტურებში; სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხელშეწყობასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება. დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა: სტუდენტები იყვნენ თანამონაწილენი დემოკრატიული პროცესები მოქმედებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების ამაღლებას თუ როგორ ხდება პოლიტიკის ფორმულირება და მისი განხორციელება რეგიონულ თუ ცენტრალურ დონეზე. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება: ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რეგიონალური და ცენტრალური საკითხების, სახელმწიფოს განვითარების პროექტებისა და ინიციატივების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რის შედეგადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა გახდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თემის საქმეების აქტიური მონაწილენი. ელექტრონული საარჩევნო პროცედურის გაცნობა: 2024 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ელექტრონული(საარჩევნო) ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან შეხვედრით სტუდენტები გაეცნობიან ელექტონული არჩევნების სპეციფიკას. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ იმიტირებულ კენჭისყრაზე (მოიცავს უშუალოდ მონაწილეების მხრიდან ხმის მიცემის პროცედურის განხორციელებას, წინასწარი შედეგების გასაჯაროების ახლებური გადაწყვეტის გაზიარებას.) და გაეცნონ საარჩევნო ტექნოლოგიების (აპარატების) გამოყენების მეთოდებს. კარიერული შესაძლებლობების პოპულარიზაცია: სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთქმედება და რეგიონულ სააგენტოებში სხვადასხვა როლების გაცნობა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებმა განიხილონ კარიერა საჯარო სამსახურში, ადმინისტრაციაში და პოლიტიკის შემუშავებაში. ამ ურთიერთქმედების გარეშე, სტუდენტებმა შეიძლება არ იცოდნენ საჯარო სექტორში პოტენციური კარიერული გზების შესახებ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხელშეწყობა: სახელმწიფო უწყებებთან მნიშვნელოვანი ჩართულობა აღძრავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას და წაახალისებს სტუდენტებს პოზიტიური წვლილი შეიტანონ თავიანთ თემებში. კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება: შეზღუდული კომუნიკაცია აფერხებს ანალიტიკური უნარების განვითარებას, რომელიც აუცილებელია საჯარო პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მთავრობის წარმომადგენლებთან პირდაპირი დისკუსიები კი ასტიმულირებს კრიტიკულ აზროვნებას.

3.3 ამოცანები: პროექტის განმავლობაში შეიჩევიან სტუდენტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ ეწვიონ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებს. (საქართველოს პარლამენტი, ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკრებულო და უმაღლესი საბჭო, საკონსტიტუციო სასამართლო) ბათუმი: 1. სტუდენტები ეწვევიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, სადაც მოინახულებენ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულებს, მათთვის გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა, სტუდენტები გაეცნობიან აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. ასევე ექნებათ შესაძლებლობა ინტერაქტიულ პროცესში გამართონ დისკუსია საბჭოს წარმომადგენლებთან. 2. სტუდენტები ეწვევიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა, გაეცნობიან საკრებულოს მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. 3. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მათთვის გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა. მოინახულებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გალერეასა და სასამართლო დარბაზს. ასევე ჩაუტარდებათ საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებთან წინასწარ განსაზღვრული ლექცია. გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები თბილისი: 1. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას. სტუდენტებს ჩაუტარდებათ საინფორმაციო შეხვედრა საარჩევნო პროცესში ელექტორონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, მათთვის

გაიმართება იმიტირებული საარჩევნო პროცესი, რისი საშუალებით გაეცნობიან 2024 წლის არჩევნების სპეციფიკას. 2. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს პარლამენტს. მოინახულებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მკითხველთა დარბაზს და წიგნების მუზეუმს. გაეცნონიან სათათბირო და სასესიო დარბაზების მნიშვნელობასა და ისტორიას. ასევე გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან.

3.4 განხორციელების გზები: 1. ბსუ-ს სტუდენტებმა გაივლიან რეგისტრაციას ონლაინ ასევე პირისპირ სარეგისტრაციო ფორმით, რომლითაც პროექტის ფარგლებში შეირჩევა 50-მდე სტუდენტი. (კითხვარს განვათავსებთ სოციალურ ქსელში და გავავრცელებთ უნივერსიტეტში) 2. შევუთანხმდებით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელებს, მათატან მჭიდრო კომუნიკაციის დახმარებით ერთიანად დავგეგმვათ ვიზიტებს (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ცენტრალუირი საარჩევნო კომისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკრებულო, უმაღლესი საბჭო და საკონსტიტუციო სასამართლო); სტუდენტები შეხვდებიან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მათგან პირადად მიიღებენ ინფორმაციას და დაესწრებიან იმიტირებულ პროცესებს (საპარლამენტო, საარჩევნო თუ სასამართლო). 3. საკონსტიტუციო სასამართლოსთან შეთანხმებით გავმართავთ იმიტირებულ სასამართლო პროცესს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები და მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მოასამართლეებისგან მიიღებენ ინფორმაციას სასამარლთლოს ფუნქციონირებისა და კომპეტენციების შესახებ. ინტერაქტიული სესიები: განვახორციელოთ ინტერაქტიული სესიები, პრეზენტაციები და კითხვა-პასუხი კონკრეტული სტრუქტურის წარმომადგენლებთან პირდაპირი კომუნიკაციისა და ცოდნის გაცვლის გასაადვილებლად. 4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან მჭიდრო კომუნიკაციით უნივერსიტეტში დავგეგმავთ საინფორმაციო შეხვედრებსა და იმიტირებულ საარჩევნო პროცესს.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
	ეტაპი 1						
1	შევქმნით ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმა ასევე სტუდენტები შევარჩიოთ საველე რეგისტრაციების დროს საინფორმაციო სეხვედრებზე. გამოვაცხადებთ შესარჩევ კონკურს	ნოემბერი					

2	საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან პროექტის შესახებ	ნოემბერი					
3	აპლიკანტების შერჩევა	ნოემბერი					
4	შედეგების გამოქვეყნება	ნოემბერი					
ეტაპი 2							
1	კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებთან, შეთანხმება შეხვედრების დროსა და თარიღზე.	16 ნოემბერი 20 ნოემბერი					
2	ვიზიტის ორგანიზებისთვის მზადება	22- 30 ნოემბერი					
ეტაპი 3							
1	ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში (ბათუმი)	22 ნოემბრი 30 ნოემბერი					

ეტაპი 4							
1	ვიზიტი საქართველოს პარლამენტში		8 დეკემბერი 20 დეკემბერი				
2	ვიზიტი ცესკოში		8 დეკემბერი 20 დეკემბერი				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტის სამიზნე ჯგუფია უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულია არიან სახელმწიფო მართავა გამგეობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესით, ასევე დემოკრატიის ხელშეწყობითა და საარჩევნო პროცესით.

6. მოსალოდნელი შედეგები: აღნიშნული პროექტის დახმარებით სტუდენტები განივითარებენ პრაქტიკულ უნარჩვევებს, რაც მათ დაეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გააზიარებენ თავიანთ თემში, ასევე უნივერსიტეტში და წაახალისებენ სამოქალაქო აქტივიზმს. სტუდენტები აგრეთვე უფრო მოტივირებულნი იქნებიან, რომ თავიანთი კარიერა საჯარო უწყებებს დაუკავშირონ და წვლილი შეიტანონ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში. ასევე ისინი წინასწარ ინფორმირებული იქნებიან 2024 წლის ელექტრონული არჩევნების შესახებ.

7. მონიტორინგი: პროექტის მიმდინარეობისას ფოტო-ვიდეო მასალას მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ჩვენს აქტივობებს რეგულარულად გავაშუქებთ სოციალურ ქსელებში.

8. შეფასება: სტუდენტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ხარვეზის აღმოფხვრა აუცილებელია სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის გასაძლიერებლად, სამოქალაქო ჩართულობის და მათი მომზადებისთვის, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი თემისა და მთლიანად საზოგადოების მომავლის ფორმირებაში. პროექტი, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ/ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებში ვიზიტებს, წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაბიჯს კომუნიკაციის პრობლემების გადალახვისა და სტუდენტებსა და მათ რეგიონალურ სამთავრობო უწყებებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის გაძლიერდება. პროექტი ხელს შეუწყობს ინფორმირებული მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტის ჩამოყალიბებას, ასევე ინფორმირებულ (ტექნიკული ელექტრონული მხარე) ამომრჩეველს 2024 წლის არჩევნებზე.

სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

პროექტის დასახელება - „საქმიანი ვიზიტები“																	
პროექტის მოკლე აღწერა -																	
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად											
						1 თვე	2 თვე										
1	ტრანსპოტირება (ბათუმი-თბილისი; თბილისი-ბათუმი)	50 კაცზე ტრანსპორტი 42 ლ,	2100	სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ტრანსპორტით თბილისში საქართველოს პარლამენტსა და ცესკოში ვიზიტისას	50 მდე სტუდენტის ვიზიტი ცესკოსა და საქართველოს პარლამენტში, აუმაღლდებათ ცნობიერება საპარლამენტო და საარჩევნო პროცესების შესახებ	ნოემბერი	დეკემბერი										
2	გასვლითი ვიზიტისთვის სტუდენტთა დღიური ხარჯები	50 კაცზე * 30 ლ	1500	სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით	სტუდენტთა კმაყოფილება	ნოემბერი	დეკემბერი										
3	პროექტის ავტორების/ორგანიზატორების ანაზღაურება	3 კაცი = 130	390	სამი დასაქმებული სტუდენტი, შალვა შალიკაძე, მეგი ცეცხლაძე, მირანდა გაბაიძე, რომელიც მიიღებს კვალიფიკაციას და გამოცდილებას	დასამქდება 3 ადამიანი	ნოემბერი	დეკემბერი										
ჯამი: 3990 დარჩენილი თანხა: 0																	

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-18/205 ბრძანების
დანართი N 4

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „სტუდენტური ახალი წელი (საახალწლო ღონისძიებები)"
სტუდენტური პროექტის ავტორი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ანუკი ახვლედიანი
პროექტის ბიუჯეტი: 15 000 ლარი

პროექტის ID: 81

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 18:10:01

პროექტის ტიპი: კულტურული

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ანუკი ახვლედიანი
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): სტუდენტური კლუბი „რუსთაველი'
1.3 პირადი ნომერი: 61901089577
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ბათუმი, ახალგაზრდობის N15
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 557168119
ელ.ფოსტა: ana-akhvlediani00@mail.ru

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): სტუდენტური ახალი წელი (საახალწლო ღონისძიებები)
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-15
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12-28
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 15000
2.5 თანადაფინანსება: 0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:15000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა
3.1 პრობლემის განსაზღვრა: საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტების ჩართულობა მცირეა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ურთიერთობებისა და სოციალიზაციის სიმწირეს, მათ შორის ისეთ სტუდენტებში რომლებიც უშუალოდ არიან სტუდენტური დღეების, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სხვა სახის შემოქმედებითი, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების მონაწილეები, რომლებიც არ იცნობენ ერთამენთ და ვერ ახდენენ საკუთარი თავის, გამოცდილებისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარებას.

3.2 მიზანი: ჩვენი პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას. წარმატებული სტუდენტების სოციალიზაციის მიზნით მათ წახალისებასა და მოტივაციის გაზრდას - უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. სტუდენტების დაახლოებას როგორც ერთმანეთთან ასევე პროფესორ მასწავლებლებთან. ეს პროექტი ასევე ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ჯგუფების (ქორეოგრაფიული ანსამბლი ანსამბლი „ტბეთი", გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „თირინი", მუსიკალური ბენდი „OFF SIDE", „რა,სად,როდის?" და სხვა სახის კლუბებში...) გაცნობასა და დაახლოებას საერთო შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზებით.

3.3 ამოცანები: სტუდენტური ცხოვრება არ შემოიფარგლება, მხოლოდ, ლექცია-სემინარებით. მნიშვნელოვანია სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ჯანსაღ ურთიერთობებს. სტუდენტების გაცნობის მიზნით პროექტი მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, მათ შორის: ნომინაციას - ა) წლის შემოქმედი; ბ) წლის სპორტსმენი; გ) წლის ინტელექტუალი; დაჯილდოებას - ქორეოგრაფიული ანსამბლი ანსამბლი „ტბეთი", გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „თირინი", მუსიკალური ბენდი „OFF SIDE", „რა, სად, როდის?" თეატრონი.

3.4 განხორციელების გზები: პირველ რიგში პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიდანაც გამოიყოფა რამდენიმე ადამიანი საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. აღნიშნული ჯგუფი მოახდენს კოორდინაციას უნივერსიტეტში არსებულ კულტურულ და სპორტულ ჯგუფებთან. ერთობლივი მუშაობის შედეგად დაისახება კონკრეტული ღონისძიების შემოქმედებითი პროგრამა. საორგანიზაციო ჯგუფისა და კონკრეტული წრეების ხელმძღვანელების მიერ გადაიხედება სრული შემოქმედებითი წელი და არჩეული იქნება ინდივიდუალური თუ გუნდური შემსრულებლები. ანალოგიური სამუშაო ჩატარდება სპორტის მიმართულებით და აირჩევა „წლის სპორტსმენი" და სხვა ნომინაციაში წარმატებული სტუდენტები.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
	ეტაპი 1						
1	ღონისძიების/პროექტის მოსამზადებელი ეტაპი	ნოემბერი 10-15					
2	ღონისძიებაზე მონაწილე სტუდენტთა შერჩევა	ნოემბერი 16	დეკემბერი 16				

3	საღამოს წვეულება - დაჯილდოების ცერემონია და განსაკუთრებული მიღწევის მქონე სტუდენტების გამოვლენა		დეკემბერი 17-28				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტი გათვლილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულ და აქტიურ სტუდენტებზე, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაში.

6. მოსალოდნელი შედეგები: აღნიშნული პროექტის შედეგად სტუდენტები გაიცნობენ და დაუახლოვდებიან ერთმანეთს, გაუზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. ეს კომუნიკაცია კი, მათ სტუდენტურ ცხოვრებას გახდის უფრო აქტიურს, საინტერესოსა და მრავალფეროვანს. სამომავლოდ კი მეტად ჩაერთვებიან უნივერსიტეტში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებში.

7. მონიტორინგი: პროექტის მსვლელობისას, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი ფოტო-ვიდეო მასალით ინფორმირებული იქნება.

8. შეფასება: პროექტის ფარგლებში მონაწილეობას მიიღო 500 მდე სტუდენტი აქედან მინიმუმ შეირჩევა 200 სტუდენტი (ღონისძიებისთვის), რომლებსაც აუმაღლდებათ მოტივაცია სამომავლო ღონისძიებების განხორციელებისათვის.

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - „სტუდენტური ახალი წელი (საახალწლო ღონისძიებები)"												
	პროექტის მოკლე აღწერა -												
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად							
						1 თვე							
1	წარმატებული (გამოვლენილი) სტუდენტების ფულადი დაჯილდოება	10 სტუდენტზე 150 ლარიანი ჯილდო	1500	მოტივაცია	წახალისება	1-28 დეკემბერი							
2	საახალწლო აქსესუარები	1000	1000	გაფორმება	სანახაობა	1-28 დეკემბერი							
3	ღონისძიების წამყვანის ჰონორარი, მუსიკალური წამყვანის (DJ) ჰონორარი	2 ადამიანი	4000	დამსწრე პირებისთვის პოზიტიური გარემოს უზრუნველყოფა	მოწვეული პირების გართობა, დასაქმდება 2 ადამიანი	1-28 დეკემბერი							
4	ვახშამი	200 ადამიანზე	7000	დამსწრეთა კმაყოფილება	დამსწრე პირთა 200 მოწვეული პირის გამასპინძლება	1-28 დეკემბერი							
5	ხელმძღვანელის ჰონორარი	ღონისძიების ორგანიზება 1 ადამიანი/ავტორის შრომის ანაზღაურება 1500	1500	შრომის დაფასება	დასაქმდება 1 ადამიანი	1-28 დეკემბერი							
ჯამი: 15000 დარჩენილი თანხა: 0													

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსახორციელებელი **ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“**
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-135/05 ბრძანების
დანართი N 5

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „ინოვაციური პროექტების შესწავლის კურსი“
სტუდენტური პროექტის ავტორი: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ლანა ბერიძე** და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ჯემალ ბერიძე**
პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი

პროექტის ID: 83

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 18:28:01

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ლანა ბერიძე და ჯემალ ბერიძე
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):
1.3 პირადი ნომერი: 61010020545 / 61004072359
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): შაშიკაშვილის 84
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 595128861
ელ.ფოსტა: lanaberidze007@gmail.com

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ინოვაციური პროექტების შესწავლის კურსი
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-10
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12-20
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 5000
2.5 თანადაფინანსება:
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:5000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტები, ნაკლებად ინფორმირებული არიან და ნაკლები გამოცდილება აქვთ პროექტის წერაში, რომელიც ნაჩვენებია ჩვენს მიერ ორგანიზებულ კვლევაში. ამ ყველაფრის წინაპირობა კი გახლავთ ის, რომ უნივერსიტეტებში არ ისწავლება პროექტის წერა შესაბამისად, ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ ეს პრობლემა გადაგვეჭრა ჩვენს უნივერსიტეტში და გვინდა შევქმნათ სატრენინგო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების განვითარებასა და გადამზადებას პროექტის წერაში

3.2 მიზანი: ჩვენი გუნდის მიზანია ინოვაციური პროექტების წერა, მონაწილეები სწავლობენ ინოვაციური პროექტების წერის ტექნიკას და მისი ცალკეული კომპონენტების სტანდარტების შესაბამის ფორმირებას. ტრენინგი მოიცავს 4 დღეს, რომელიც გაყოფილია 2 ნაწილად. ჯამში 32 საათს, მათ შორის 12 საათი თეორიული ნაწილი, ხოლო 20 საათი პრაქტიკული დავალებები, რეალური ქეის სთადი, სიმულაციური პროექტების ანალიზი და დისკუსია. მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება 50 მონაწილით.

3.3 ამოცანები: ჩვენი გუნდის ამოცანაა გადავამზადოთ 50 სტუდენტი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ამ ყველაფერში, ასევე სტუდენტებს ჩამოვუყალიბოთ კომუნიკაციის უნარი, რომელიც მათთვის უმნიშვნელოვანესია. ტრენინგის მსვლელობისას, სტუდენტებს ჩაუტარდებათ სხვადასხვა სახის ჯგუფური თამაშები, რომელიც მეტად განუვითარებს ჯგუფური მუშაობის უნარს, თამაშების გამარჯვებული გუნდი კი მიიღებს წამახალისებელ საჩუქარს, რომელიც სტუდენტს აუმაღლებს მოტივაციას და გაუჩენს სურვილს, რომ იყოს მეტად აქტიური ტრენინგის მსვლელობისას. ტრენინგის ბოლოს კი შემოწმდება თითოეული სტუდენტის ცოდნა, რაც აჩვენებს ტრენინგის შედეგიანობას, ყველა სტუდენტს გადაეცემა მონაწილეობის სერტიფიკატები, ხოლო საუკეთესოებს კი გადაეცემათ გამარჯვებულთათვის დადგენილი პრიზები. ჩვენი მთავარი ამოცანა კი არის ის, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგი განვითარდეს პირამიდის პრინციპით, ხალხი მეტად ჩავრთოთ და გავუღრმავოთ ცოდნა პროექტის წერაში. რის შედეგადაც, სტუდენტები დამოუკიდებლად მოიპოვებენ დაფინანსებას სხვადასხვა პროექტებში.

3.4 განხორციელების გზები: ჩვენ პროექტს ახორციელებს პროექტის ხელმძღვანელები, ლანა და ჯემალ ბერიძეები. პირველ კვირას აირჩევა პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც მთელი ტრენინგის მანძილზე იზრუნებს სტუდენტებზე და შესრულების ხარისხზე. გუნდი მოიცავს, გამოცდილ ტრენერებს, ასევე შერჩეულ რამდენიმე სტუდენტს, რომელიც დაორგანიზებული პროექტის წარმართვაში დაგვეხმარება, იზრუნებს სტუდენტების მობილიზებასა თუ მონიტორინგზე. ასევე პირველ კვირას გამოცხადდება მონაწილეების შესარჩევი კონკურსი, პირველ ეტაპზე ეს იქნება განცხადების სახით, ხოლო შემდგომი ეტაპი იქნება გასაუბრება და საბოლოოდ აირჩევა 50 სტუდენტი. მეორე კვირას დაიწყება ტრენინგი, რომელიც გაგრძელდება ოთხი დღის მანძილზე, წარმატებული კურსის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ ორიდღე, რათა მოამზადონ პროექტები და შეფასდეს ეს ყოველივე ტრენერების მიერ. ამ ყველაფრის შემდეგ კი გამოვავლენთ გამარჯვებულებს, ყველა მონაწილეს გადავცემთ მონაწილეობისთვის სიგელს, ხოლო საპრიზო ადგილზე მყოფებს სპეციალურად გამოყოფილ ბიბლუსის ვაუჩერებს. პროექტის ხანგძლივობა იქნება დღეში 8 საათი, სადაც ყოველ 2 საათში ერთხელ იქნება შესვენება, აქედან ორი შესვენება იქნება ყავის, ერთი კი ლანჩის . ლანჩის ორგანიზებას და სტუდენტთა მობილიზებას კი უზრუნველყოფს სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდი.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	შერჩევა, გუნდის(Staff) შერჩევა, განცხადებების გადახარისხება, გასაუბრება	ნოემბერი	დეკემბერი				
ეტაპი 2							
1	პროექტის მიმდინარეობა, ტრენინგების დაწყება, ოთხ დღიანი ტრენინგი, ორ დღიანი ტრენინგი	ნოემბერი	დეკემბერი				
ეტაპი 3							
1	დასკვნითი ეტაპი, გამარჯვებულის გამოვლენა		დეკემბერი				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: მოცემული პროექტი ტარდება ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სტუდენტისთვის, განურჩევლად ფაკულტეტისა.

6. მოსალოდნელი შედეგები: კურსის გავლის შედეგად მონაწილეები შეძლებენ საპროექტო იდეის პროექტად ჩამოყალიბებას, პროექტის ეტაპებისა და რესურსების სწორად განაწილებას, საპროექტო წინადადებისათვის საჭირო ბიუჯეტის სწორად შედგენას, საპროექტო გუნდის მონაწილეთა უფლებამოსილებების სწორ დელეგირებას. ტრეინინგის/ვორკშოპის მონაწილეები ასევე გაეცნობიან პროექტების რისკების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიას და რისკ მენეჯმენტის საკითხებს. მონაწილეები შეძლებენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საპროექტო განაცხადების კონკურსში მონაწილეობისათვის სტანდარტების შესაბამისი პროექტის მომზადებას.

7. მონიტორინგი: ჩვენს მიერ შეკრებილ გუნდში, სპეციალურად გამოიყოფა 3 ადამინისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს, სტუდენტების, ტრენინგის კონტროლს.

8. შეფასება: ჩვენი პროექტის წარმატების მდგომარეობს შემდგომში. დეტალურად გაწერილი პროგრამა, სპეციალისტი ტრენერი, შერჩეული სტუდენტთა კატეგორია, რომელიც გვაძლევს შედეგს, ასევე ჩვენთვის მნიშვნელვოანია ყველა მონაწილეს თუ არა, რამდენიმე მონაწილეს მაინც აღმოვაჩენინოთ ნიჭი, რომელსაც გამოიყენებენ მომავალში არა მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის, არამედ უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის.

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - „ინოვაციური პროექტების შესწავლის კურსი“																	
	პროექტის მოკლე აღწერა -																	
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად												
						1 თვე	2 თვე											
1	ტრენერების ჰონორარი	მოწვეული იქნება ორი ტრენერი ანაზღაურება 1 ადამიანზე 1000 ლ	2000	პროექტში ჩართული ტრენერები კმაყოფილება	დასაქმდება 2 ადამიანი	ნოემბერი	დეკემბერი											
2	საკანცელარიო ნივთები	10X50	500	ყველა მონაწილე იქნება უზრუნველყოფილი საკანცელარიო ნივთებით.	სტუდენტები უზრუნვეყოფილი იქნებიან საკანც. საშუალებებით, გაიზრდება მათი ჩართულობა ტრენინგებში	ნოემბერი	დეკემბერი											
3	კვება/ფურშეტი	40X50	2000	ტრენერები და ყველა მონაწილე იქნება უზრუნველყოფილი კვებით და ყავის შესვენებით.	სტუდენტთა კმაყოფილება	ნოემბერი	დეკემბერი											
4	პრიზები - ფულადი ჯილდო	100+150+250	500	პირველი სამი ადგილი იქნება დაჯილდოვებული	სტუდენტთა კმაყოფილება		დეკემბერი											
	ჯამი: 5000 დარჩენილი თანხა: 0																	

„2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 ნოემბრის N 01-18/205 ბრძანების
დანართი N 6

სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „ტაო-კლარჯეთი ჩვენი შთაგონება“
სტუდენტური პროექტის ავტორი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ლიზი ბაბუჩაიშვილი**
პროექტის ბიუჯეტი: 15 000 ლარი

პროექტის ID: 85

რეგისტრაციის დრო: 2023-10-31 18:46:52

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ლიზი ბაბუჩაიშვილი
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): სტუდენტური კლუბი "რუსთაველი"
1.3 პირადი ნომერი: 61506083339
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ბათუმი, გრიგოლ რობაქიძის 77
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: 558444473
ელ.ფოსტა: lizibabuchaishvili@gmail.com

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ტაო-კლარჯეთი ჩვენი შთაგონება
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2023-11-15
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2023-12-10
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 15 000
2.5 თანადაფინანსება:
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:15 000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა
3.1 პრობლემის განსაზღვრა: დღეს-დღეობით სტუდენტებში არის ინფორმაციის სიმწირე საქართველოს წარსულის, ისტორიისა და ღირშესანიშნაობების (განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობსი ძეგლების) შესახებ, რომელიც საქართველოს კულტურის ერთ-ერთი

მთავარი ძეგლები გახლავთ და ამჟამად, სახელმწიფოს არსებული საზღვრებს გარეთ არის დარჩენილი. ბსუ-სი სტრატეგიული განვითარების გეგმით უნივერსიტეტი უნდა ისწრაფოდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისკენ, მათ შორის ისეთ მიმართულებებში, როგორიც გახლავთ ისტორია (საქართველოს ისტორია), შესაბამისად სტუდენტებს შემეცნებითი-საგანმანათლებლო ტურებით შეუძლიათ ფიზიკურად მოინახულონ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლები საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც მათ დაეხმარებათ ერთი მხრივ მეცნიერული მიმართულების განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოებრივი აზროვნების გაზრდაში.

3.2 მიზანი: 1) პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტებში გაზარდოს ცნობიერება იმ ისტორიული ტერიტორიების (მათ შორის ძეგლების) შესახებ, რომლებიც საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახლავთ, ასევე იმ კულტურულ ძეგლებზე მიაწოდოს ინფორმაცია (მათ შორის ადგილზე ვიზიტით) რაც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

2) ჩვენ ამ პროექტით გვსურს სტუდენტების აკადემიური გამოცდილების გაღრმავება საუნივერსიტეტო კედლებს გარეთ ექსპერიმენტული სწავლის შესაძლებლობის მიცემით, ეს შეიძლება მოიცავდეს ვიზიტებს სხვადასხვა ისტორიულ ობიექტებში რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული ცოდნა და შეხედულებები სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით.

3) ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში გვსურს რომ სტუდენტებში ავამაღლოთ ცნობიერება იმ ტერიტორიების შესახებ რომელიც სამწუხაროდ თანამედროვე საქართველოს გარეთ დარჩა. პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებში კულტურის განვითარებას და გადაჭრის პრობლემურ საკითხებს როგორიცაა ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლების დავიწყება.

4) საუნივერსიტეტო შემეცნებით გასვლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კულტურულ გაგებასა და გლობალურ პერსპექტივების .ასევე სტუდენტებს სთავაზობს უცხო ადგილების მონახულების ან სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობის შანს, ასეთ მოგზაურობებს შეუძლიათ გააძლიერონ მრავალფეროვნების დაფასება, გააფართოებს სტუდენტების კულტურულ ჰორიზონტს და განავითარებს მათი ინტერ კულტურული კომუნიკაციის უნარებს.

5) გუნდის მნიშვნელობა და პიროვნული ზრდა: საუნივერსიტეტო მოგზაურებები ხშირად მოიცავს ჯგუფურ აქტივობებს გუნდურ პროექტებს ან გარე თავგადასავლებს, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, გუნდურ მუშაობას და პიროვნულ ზრდას. ეს გამოცდილება სტუდენტებს დაეხმარება განავითარონ ლიდერობის უნარები, გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები და განავითარონ თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა.

3.3 ამოცანები: ჩვენი ძირითადი ამოცანა გახლავთ საქართველოს ისტორიული ძეგლების დათვალიერება, რომელიც უკვე აღარ არის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ასევე ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა წარმატებული და აქტიური სტუდენტების ჩართვა არაფორმალურ გარემოში და მოცემული გამოცდილების გაზიარება, რადგან მართალია ჩვენ ვიღებთ ძირეულ (თეორიულ) ინფორმაციას ჩვენი ისტორიული წარსულის შესახებ, მაგრამ გვიჭირს ამის პრაქტიკული/ფიზიკური აღქმა და გაგება. დასახული მიზნების შესრულებისთვის გუნდმა ზედმიწევნით გავწერეთ წინასწარ განსახორციელებელი გეგმა/აქტივობები.

მოგეხსენებათ უნივერსიტეტში გაგვაჩნია ფოტო-ხელოვანთა კლუბი, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის, სწორედ მოცემული ახალგაზრდები აღბეჭდავენ იმ დაუვიწყარ მომენტებს, რომელთაც ჩვენ შევქმნით გასვლით აქტივობაში. შემდგომ მოცემულ ფოტომასალას განვათავსებთ ჩვენი კლუბისა და ბსუს სოციალურ ქსელებში.

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ წინასწარ განსაზღვრული, გეგმა და გრაფიკი ჩვენი განსახორციელებელი პროექტებისა

პირველი დღე 06:30 გასვლა უნივერსიტეტიდან 07:30-08:30 საბაჟო პროცედურები 13:00 ტბეთის ეკლესია 14:00 სადილი 17:00 დოლიყანის ეკლესია 22:00 იუსუფელი-პარხალი-სასტუმროში დაბინავება 22:30 ვახშამი

მეორე დღე : 09:00 საუზმე 09:30 სასტუმროდან გასვლა 11:30 ხახულის ეკლესია 13:30 ოშკის მონასტერი 15:00 თორთუმის ჩანჩქერი 15:30 სადილი 18:30 ოთხთა ეკლესია 22:00 იუსუფელი-პარხალი-სასტუმროში დაბინავება 22:30 ვახშამი

მესამე დღე 09:00 საუზმე 10:00 გასვლა სასტუმროდან 10:40 პარხალის ეკლესია 13:00 იშხნის ეკლესია 14:00 სადილი 15:00-20:00 სარფის საბაჟო 21:00 დაბრუნება უნივერსიტეტში

3.4 განხორციელების გზები: განხორციელების გზები: პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე, თავდაპირველ ეტაპზე, ჩვენ გამოვაცხადებთ სტუდენტების მიღებას, ძირითადი მონაწილეები მოცემული პროექტის იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მიღწევა, სხვადასხვა აქტივობებში მნიშვნელოვანია, რომ ჩავრთოთ მსგავს აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ამასთანავე მათი პრაქტიკის გაზიარება სტუდენტებისთვის არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. წარმატებული სტუდენტები გვყავს სპორტის სხვადასხვა სახეობებში მაგალითად კალათბურთში, მკლავჭიდში, ჭიდაობაში, ტენისში, ფეხბურთში და ა.შ. თითოეული დღე იქნება სავსე სხვადასხვა გასართობი/შემეცნებით აქტივობებით, რომელიც გაუხალისებს სტუდენტებს გასვლით შეხვედრებს.. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ მოკლე ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? და წამახალისებელი აქტივობა მელომანი, სპორტული აქტივობა ბადმინტონის, ხელბურთის და ფეხბურთის სახით. უშუალოდ აქტივობების ჩატარებას ვგეგმავთ ნოემბერში, მაგრამ უამინდობისა და სხვა სახის რისკის გამო შესაძლებელი გაიმართოს დეკემბრის თვეში.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
	ეტაპი 1						
1	სტუდენტების შერჩევა	ნოემბერი					
2	სტუდენტების დაჯგუფება	ნოემბერი					

ეტაპი 2							
1	გასვლა დღე პირველი	ნოემბერი					
2	გასვლა დღე მეორე	ნოემბერი					
3	გასვლა დღე მესამე	ნოემბერი					
ეტაპი 3							
1	პირველი დღის აქტივობა	ნოემბერი					
2	მეორე დღის აქტივობა	ნოემბერი					
3	მესამე დღის აქტივობა	ნოემბერი					
ეტაპი 4							

1	შეჯამება პრეზენტაცია უნივერსიტეტში	ნოემბერი	დეკემბერი				
2	პროექტის დახურვა(ფოტოები, ვიდეოები, პრეზენტაციები)	ნოემბერი	დეკემბერი				

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: ჩვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი პროექტის ძირითადი ბენეფიციარი გახლავთ ბსუ-ს სტუდენტები, აქვე უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებში წარმატებების მქონე სტუდენტები. შერჩევის დროს აგრეთვე ჩართული იქნებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები და აკადემიური პირები (სურვილის შემთხვევაში)!

6. მოსალოდნელი შედეგები: სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას ჩვენი ქვეყნის წარსულის და კულტურული ძეგლების შესახებ, შესაბამისად მეტი ისტორიული ადგილის ხილვით გაიფართოვეს თვალსაწიერი კულტურის მხრივ, სტუდენტები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მათ გუნდურ მუშაობასა და პიროვნულ ზრდას. საბოლოო ჯამში ჩვენს პროექტში ჩაერთო 100-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა ყოფილიყვნენ ჩვენი პროექტის წევრი. ამ გამოცდილებამ შეუძლია სტუდენტებს განუვითაროს ლიდერობის უნარები გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, ასევე გააუმჯობესოს თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა.

7. მონიტორინგი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენი ფოტო-ხელოვანთა კლუბის წევრები აღბეჭდავენ თითოეულ აქტივობებს ფოტო-ვიდეოს სახით და მასალას გადავუგზავნით სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში სტუდენტებს მონიტორინგს გაუწევს თავად პროექტის ავტორები.

8. შეფასება: პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყოველი აქტივობა იყო განსაზღვრული სტუდენტებისთვის, რომელმაც მნიშვნელოვნად მოახდინა სტუდენტების განვითარება სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, ამავდროულად ამ პროექტმა სტუდენტებს მისცა საშუალება აემაღლებინა ლიდერული და ჯგუფური უნარ-ჩვევები. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ამ პროექტმა მოგვცა იმის საშუალება რომ გვენახა საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ტერიტორიები.

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - „ტაო-კლარჯეთი ჩვენი შთაგონება"											
	პროექტის მოკლე აღწერა -											
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						ნოემბერი						
1	ტაო-კლარჯეთში გასვლითი ვიზიტის დღიური ხარჯები	არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 სტუდენტის დღიური ხარჯები ტაო კლარჯეთში გასვლითი ღონისძიებისთვის დღიური ხარჯები	7500	ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან სასტუმრო	სტუდენტთა კმაყოფილება	15-30 ნოემბერი						
2	ტრანსპორტირება	არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 სტუდენტის ტრანსპორტირება ტაო კლარჯეთში	4500	იქნებიან სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით.	შესაბამისი ადგილების მონახულება	15-30 ნოემბერი						
3	გიდის ჰონორარი	1 ადამიანი * 1800 ლარი	1800	გიდი სტუდენტებს აუმაღლებს ცნოებიერებას ისტორიული ადგილების შესახებ	დასაქმდება 1 ადამიანი							

4	პროექტის ხელმძრანელის ჰონორარი -პროექტის ორგანიზება/მენეჯმენტი	1 ადამიანი * 1200 ლარი	1200	ლიზი ბაბუჩაიშვილის ჰონორარი,	დასაქმდება 1 ადამიანი, მოტივაციის ამაღლება	15-30 ნოემბერი						
ჯამი: 15 000 დარჩენილი თანხა: 0												